

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



➤ კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია


თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

➤ ღია დავალება

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი; ფოტო; ცხრილი; გრაფიკი; დიაგრამა; ფიზიკური, კონტურული, ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. კოპენ-გეიგერის კლიმატის კლასიფიკაციის მსოფლიო რუკის მიხედვით, განსაზღვრეთ, რომელ არეალშია სამოთხ თვიანი ხანგრძლივობის სეზონური თავსხმა წვიმები, რომელსაც მუსონის მოქმედება განაპირობებს?



- ა) არეალი - „Af“;
- ბ) არეალი - „Dfb“;
- გ) არეალი - „Am“;
- დ) არეალი - „BSk“.



Af	BWh	Csa	Cwa	Cfa	Dsa	Dwa	Dfa	ET
Am	BWk	Csb	Cwb	Cfb	Dsb	Dwb	Dfb	EF
Aw	BSh	Cwc	Cfc	Dsc	Dwc	Dfc		
BSk		Dsd	Dwd	Dfd				

Contact : Murray C. Peel (mpeel@unimelb.edu.au) for further information

DATA SOURCE : GHCN v2.0 station data
Temperature (N = 4,844) and
Precipitation (N = 12,396)

PERIOD OF RECORD : All available


MIN LENGTH : ≥30 for each month.

RESOLUTION : 0.1 degree lat/long

(1) 2. ჩამოთვლილთაგან რომელ არეალში ყალიბდება ოკეანური დინების ზეგავლენით მშრალი კლიმატი და წარმოიქმნება უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს ეკოსისტემები?







ოკეანის ზედაპირული დინებები




- ა) ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე;
- ბ) სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე;
- გ) ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე;
- დ) აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

(1) 3. მოცემულია ოთხი სხვადასხვა სახელმწიფოს დემოგრაფიული პირამიდა. შეადარეთ მონაცემები და განსაზღვრეთ, რომელ სახელმწიფოშია შობადობის უფრო დაბალი კოეფიციენტი?



(1) 4. გლობალური მიგრაციის რუკაზე დატანილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ამ მდგომარეობის შენარჩუნების შემთხვევაში, ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელშია მოსალოდნელი მუშახელის ყველაზე მწვავე დეფიციტი მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში?




- ა) გერმანიაში;
- ბ) კანადაში;
- გ) ვენესუელაში;
- დ) ინდონეზიაში.

(1) 5. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა ხსნის დემოგრაფიული გადასვლის თეორიას?


- ა) რესურსების მოხმარების ზრდა ყოველთვის განაპირობებს მოსახლეობის მაღალ შობადობას;
- ბ) მიგრაციული პროცესები წარმოადგენს მსოფლიო მოსახლეობის მატების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს;
- გ) პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში შობადობის კოეფიციენტი მაღალია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გამო;
- დ) მოსახლეობის ზრდის ტემპი მცირდება საზოგადოებების განვითარებასთან და პოსტ-ინდუსტრიალიზაციასთან ერთად.

(1) 6. ვაჭრობის ნაკადების რუკიდან გამომდინარე, ჩამოთვლილთაგან რომელი რეგიონი პოზიციონირებს უფრო სტრატეგიულად, როგორც ამ პროდუქციის რეექსპორტის ცენტრი, მთავარ გლობალურ ბაზრებს შორის არსებული გეოგრაფიული და ეკონომიკური მდებარეობის გამო?



- ა) სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია;
- ბ) ცენტრალური აფრიკა;
- გ) ჩრდილოეთი ევროპა;
- დ) ცენტრალური ამერიკა.

(1) 7. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის განაწილების მსოფლიო რუკის მიხედვით?




- ა) დაბალი მაჩვენებელი ახასიათებთ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი აქვთ;
- ბ) მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები კონცენტრირებულია ტროპიკულ სარტყელში;
- გ) დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ლათინური ამერიკაში;
- დ) მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები კონცენტრირებულია ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში.

(1) 8. რა ჰქვია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის მონაკვეთს საქართველოს მხრიდან, რომელზეც მწვერვალი შხარა მდებარეობს?



- ა) ჭაუხი;
- ბ) ფიცრულა;
- გ) ასხის მასივი;
- დ) რაჭის კავკასიონი.

(1) 9. რომელ წელს შეადგენდა მიგრაციული სალდოს აბსოლუტური მაჩვენებელი $\approx -23\ 147.8$ ადამიანს?



- ა) 1994 წელს;
- ბ) 2002 წელს;
- გ) 2014 წელს;
- დ) 2023 წელს.

(1) 10. ჩამოთვლილთაგან საქართველოს რომელი რეგიონია ყველაზე მეტად მონოეთნიკური?


ა) სამცხე-ჯავახეთი;

ბ) შიდა ქართლი;

გ) ქვემო ქართლი;

დ) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

(1) 11. რა ინფორმაციას ასახავს თემატური რუკა?




- ა) წელიწადში სეტყვიანი დღეების რაოდენობას;
- ბ) წელიწადში ძლიერი ქარის შემთხვევების რაოდენობას;
- გ) წელიწადში გვალვის შემთხვევების რაოდენობას;
- დ) წელიწადში ელ-ჭექიანი დღეების რაოდენობას.

(1) 12. ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედებით, საქართველოს რომელი დაცული ტერიტორიებისთვის არის გაუდაბნოების პროცესი ყველაზე კრიტიკული?




- ა) თუშეთის;
- ბ) ჯავახეთის;
- გ) კოლხეთის;
- დ) ვაშლოვანის.

(1) 13. რუკაზე პანამერიკულ გზატკეცილზე ნაჩვენებია ე.წ. „დარიენის ნაპრალი“, სადაც აღნიშნული მაგისტრალი წყდება. ჩამოთვლილთაგან რა მიზეზით არ განხორციელდა აღნიშნულ მონაკვეთზე გზის გაყვანა?



- ა) მსოფლიოში უნიკალური ტენიანი ტროპიკული ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გამო;
- ბ) პანამის საერთაშორისო სანაოსნო არხის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის გამო;
- გ) ექსტრემალური რელიეფის, დაჭაობებული ადგილების და ძალზე „არასტუმართმოყვარე“ ლანდშაფტის გამო;
- დ) გაეროს რეზოლუციით ამ ტერიტორიის მკვიდრი ინდიელების მმართველობაში გადაცემის გამო.


(1) 14. ჩრდილოეთ ამერიკაში, რუკაზე აღნიშნული არეალებიდან, რომელში მდებარეობს მოცემული კლიმატური დიაგრამის შესაბამისი ადგილი?



(1) 15. ფოტოებზე ნაჩვენები საქართველოში გავრცელებული ტყეებიდან, რომელი მდებარეობს ზღვის დონიდან უფრო დაბლა?







(1) 16. რას ასახავს მოცემული რუკა?



- ა) აქტიურ ვულკანებს;
- ბ) დამანგრეველ ტორნადოებს;
- გ) მიწისძვრის ეპიცენტრებს;
- დ) მაგნიტურ ანომალიებს.

(1) 17. რომელია ქ. ახალციხის კლიმატური დიაგრამა?



(1) 18. რისი წარმოების სტატისტიკური მონაცემებია ცხრილში?

წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)				
წელი	2020	2021	2022	2023
საქართველო:	208,6	234,7	198,9	197,3
სამცხე-ჯავახეთი	123,0	154,2	129,8	129,1
დანარჩენი რეგიონები	85,6	80,5	69,1	68,2

- ა) ყურძნის;
- ბ) კარტოფილის;
- გ) მზესუმზირის;
- დ) თხილის.

(1) 19. რომელ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები ჟინვალის წყალსაცავი?



(1) 20. რა ტიპის დაცული ტერიტორიაა აჯამეთის ტყე?

ა) ეროვნული პარკი;

ბ) ნაკრძალი;

გ) ბუნების ძეგლი;

დ) აღკვეთილი.

(1) 21. მოცემულია ოთხი ქალაქის: სოხუმის, გაგრის, ფოთის და ბათუმის გეოგრაფიული კოორდინატები. რომელია ქ. სოხუმის გეოგრაფიული კოორდინატები?

ა) $41^{\circ}38'45''$ ჩ.გ. $41^{\circ}38'30''$ ა.გ.

ბ) $42^{\circ}09'00''$ ჩ.გ. $41^{\circ}40'00''$ ა.გ.

გ) $43^{\circ}00'12''$ ჩ.გ. $41^{\circ}00'55''$ ა.გ.


დ) $43^{\circ}17'00''$ ჩ.გ. $40^{\circ}16'00''$ ა.გ.

(1) 22. რა არის სქემაზე ასახული პროცესის ძირითადი გამომწვევი მიზეზი?



- ა) მდინარეებსა და ტბებში ჟანგბადის შემცველობის ბუნებრივი მატება;
- ბ) წყალსაცავებში წყლის დონის მკვეთრი კლება და ნაპირების ჩამოშლა;
- გ) ნიადაგიდან წყალში აზოტისა და ფოსფორის ჭარბი რაოდენობით მოხვედრა;
- დ) წყლის ბინადრების მიერ საკვების მოსაპოვებლად მიგრაციის დაწყება.

(1) 23. საქართველოს მიგრაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ წელს იყო მიგრაციული სალდო უარყოფითი?




- ა) 2020 წელს;
- ბ) 2022 წელს;
- გ) 2023 წელს;
- დ) 2024 წელს.

(1) 24. რა არის გამოსახული ფოტოზე?



- ა) საკმლის ხე ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე;
- ბ) წაბლის ხე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე;
- გ) კოლხური მუხის ხე ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის ტერიტორიაზე;
- დ) ძელქვის ხე ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე.

(1) 26. რომელ საწვავ რესურსზეა მოცემული ინფორმაცია რუკებზე?



- ა) ტორფის;
- ბ) ნავთობის;
- გ) ქვანახშირის;
- დ) ბუნებრივი აირის.

(1) 27. რომელი დასახელების თეთრი ღვინის ადგილწარმოების მიკროზონაა საგარეჯოს მუნიციპალიტეტი?

- ა) მანავის;
- ბ) ტვიშის;
- გ) ხვანჭკარის;
- დ) ნაფარეულის.

(1) 28. ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება შეესაბამება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის დემოგრაფიულ ვითარებას?


- ა) მიმდინარეობს დემოგრაფიული აფეთქება;
- ბ) დამახასიათებელია მარტივი აღწარმოება;
- გ) დამახასიათებელია გაფართოებული აღწარმოება;
- დ) მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერება.

(1) 29. ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტის მიხედვით, ლათინური ასოთი აღნიშნული რომელი წერტილი მდებარეობს ცალკე მდგომი ხიდან 213° აზიმუტით?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

(1) 30. ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტის მიხედვით, ლათინური ასოთი აღნიშნულ რომელ მონაკვეთშია მეწყერის განვითარების უფრო მაღალი რისკი?




- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

(1) 32. ცხრილში მოცემულია საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები. გაანალიზეთ ინფორმაცია და განსაზღვრეთ, რამდენ ადამიანს შეადგენდა მიგრაციული სალდო (აბსოლუტური მაჩვენებელი) 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი)	2024 წ.	3694,6
	2025 წ.	3704,5
ბუნებრივი მატება 2024 წლის განმავლობაში		-4488

(3) 33. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



ატმოსფერული ნალექები

- სეზონების მიხედვით ნალექების თანაბარი განაწილება
- ორი მაქსიმუმით
- ზაფხულის მაქსიმუმით
- ზამთრის მაქსიმუმით
- მშრალი ტერიტორიები

ქარები

- ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატი
- სამხრეთ-აღმოსავლეთის პასატი
- დასავლეთის ქარები



ოკეანური დინებები

- თბილი
- ცივი

(1) **33.1.** ალისოვის კლიმატური დარაიონების მიხედვით, აფრიკის სამხრეთ ტროპიკულ სარტყელში ორი კლიმატური ოლქი გამოიყოფა. დაასახელეთ მათ შორის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ოლქი.

(2) **33.2.** დაასახელეთ ორი გეოგრაფიული ფაქტორი, რომელმაც აფრიკის სამხრეთ ტროპიკული სარტყლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ოლქის კლიმატური თავისებურებები განსაზღვრა.

(3) 34. დიაგრამებზე მოცემული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:



(2) 34.1. რომელ სახელმწიფოსთან ჰქონდა საქართველოს 2024 წელს ყველაზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი და რა იყო ამ ქვეყანაში ძირითადი საექსპორტო პოზიცია?

(1) 34.2. გამოთვალეთ საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბალანსი. აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(4) **35. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**

გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი უხვთოვლიანი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე გამოყოფენ ე.წ. „თოვლის ქვეყანას“ (რუკა1-ზე წითელი ფერით მონიშნულია ის პრეფექტურები, რომლებიც მთლიანად შედის „თოვლის ქვეყნის“ ფარგლებში, ხოლო ყვითლად – პრეფექტურები, რომლებიც ამ რეგიონში ნაწილობრივაა წარმოდგენილი). აქ თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე ხშირად 500 სმ-ს აჭარბებს.

აღნიშნულ რეგიონში მდებარეობს ქალაქი აომორი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უხვთოვლიანი ქალაქია. მეტეოროლოგიური მონაცემების მიხედვით, 1981-2010 წლებში თოვლის საფარის საშუალო წლიური სიმაღლე 669 სმ-ს შეადგენდა (ზოგიერთ წელს თოვლის საფარი 2000 სმ იყო). 1927 წლის 14 თებერვალს მ. იბუკზე 1182 სმ (ანუ 11,82 მ) თოვლის საფარი დაფიქსირდა.




„თოვლის მონსტრები“
ქ. აომორის მიდამოები




მ. იბუკი

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).

რუკა1.




რუკა2.



- დინებები:
 1 - ზღვისპირა
 2 - ცუსიმა
 3 - ოიასიო
 4 - კუროსიო

რუკა3.



გადასვლა დავალების:
I გვერდზე;
II გვერდზე;
III გვერდზე.

(1) **35.1.** ტექსტში აღწერილი კლიმატური ფაქტორის გათვალისწინებით (ექვს მეტრზე მეტი თოვლის საფარი), ტურიზმის რომელი მიმართულების განვითარებას ვერ გამოვრიცხავთ ზამთრის სეზონზე ქალაქ აომორში?

ა) რაფტინგის;

ბ) დაივინგის;

გ) აგროტურიზმის;


დ) კულტურული ტურიზმის.

(3) **35.2.** დეტალურად აღწერეთ იმ გეოგრაფიული პროცესების ერთობლიობა, რომელიც ზამთრის პერიოდში „თოვლის ქვეყნის“ რეგიონში მიმდინარეობს და იწვევს დიდთოვლობას. პასუხში დაასახელეთ კონკრეტული გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორები შესაბამისი სახელწოდებების მითითებით.

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).


(5) **36. დიაგრამებზე მოცემულია 2023 წელს გერმანიასა და აშშ-ს შორის ექსპორტ-იმპორტის 10 წამყვანი პოზიცია. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**

გერმანიის მთავარი საიმპორტო პოზიციების წილი აშშ-დან
1. ნავთობის აირები და სხვა აირადი ნახშირწყალბადები 4.91%
2. მსუბუქი ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები 4.34%
3. ორგანული ქიმიკატები 4.23%
4. ნავთობის ზეთები და ბიტუმინი მინერალებიდან მიღებული ზეთები 3.95%
5. ადამიანის სისხლი, ცხოველის სისხლი თერაპიული ან დიაგნოსტიკური გამოყენებისთვის 2.63%
6. საავტომობილო მანქანების ნაწილები და აქსესუარები 2.53%
7. აზოტის შემცველი ჰეტეროციკლური ნაერთები 2.23%
8. მედიკამენტები და ფარმაცევტული საშუალებები 2.14%
9. ნავთობის ზეთები და ნარჩენი (გამოყენებული) ზეთები 2.12%
10. ავტომატური მონაცემთა დამუშავების მანქანები 1.83%



გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).

გერმანიის მთავარი საექსპორტო პოზიციების წილი აშშ-ში
1. მსუბუქი ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები 9.39%
2. მედიკამენტები 4.46%
3. საავტომობილო მანქანების ნაწილები და აქსესუარები 3.63%
4. ადამიანის სისხლი, ცხოველის სისხლი თერაპიული ან დიაგნოსტიკური გამოყენებისთვის 2.73%
5. სხვადასხვა ქიმიური პროდუქტები 2.12%
6. ნავთობის ზეთები და ბიტუმიანი მინერალებიდან მიღებული ზეთები 1.5%
7. თვითმფრინავები 1.34%
8. ელექტრონული ინტეგრირებული სქემები 1.18%
9. ელექტროენერგია 1.11%
10. ინსტრუმენტები და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მედიცინაში, ქირურგიაში, სტომატოლოგიაში ან ვეტერინარიაში 1.05%



გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).

- (1) **36.1.** რომელ პროდუქციაზე დააწესა, მიზანმიმართულად, აშშ-ის ხელისუფლებამ არსებულთან შედარებით მაღალი ტარიფები?
- (2) **36.2.** რით ახსნა (დაასაბუთა) აშშ-ის ხელისუფლებამ კონკრეტულ პროდუქციაზე ტარიფების გაზრდის გადაწყვეტილება და საბოლოოდ, რა მიზანს ემსახურებოდა ხელისუფლების აღნიშნული ქმედება?
- (2) **36.3.** რომელ სექტორში (პოზიციაზე) ფიქსირდება თითქმის პარიტეტი (ბალანსი) გერმანიასა და აშშ-ს შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებში? რით ახსნით, რატომ მოხვდა ეს სფერო ათ წამყვან პოზიციას შორის.


გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).

(8) **37. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**

ავსტრალიის კონტინენტი ევროპელებმა XVII საუკუნეში აღმოაჩინეს. XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან XX ს-მდე კონტინენტი ერთ-ერთი ქვეყნის კოლონიას წარმოადგენდა.

კონტინენტის კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი „ღარიბია“ ზედაპირული ჩამონადენით. ავსტრალია გამოირჩევა ენდემური ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების მრავალფეროვნებით.


კატი-თანდას ტბა 1840 წელს ავსტრალიის მკვლევარმა აღმოაჩინა და ტბას მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა. ტბის გეოგრაფიული კოორდინატებია $28^{\circ}40'$ ს.გ. და $137^{\circ}20'$ ა.გ. იგი ავსტრალიის ყველაზე დაბალ წერტილში, ზღვის დონიდან -15 მ-ზე მდებარეობს. ტბის ფართობი ცვალებადია და მაქსიმალური შევსებისას ის დაახლოებით 9500 კმ^2 აღწევს, რაც ბოლო 160 წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ დაფიქსირდა. ის, ერთმანეთთან ვიწრო არხით დაკავშირებული, ორი – ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილებისგან შედგება. ცალკეულ წლებში ტბა შრება და მის ფსკერზე მარილის სქელი ფენა ილექება. წვიმების შედეგად ტბა წყლით ივსება და მის ნაპირებთან უამრავი ფრინველი იყრის თავს.




ნახ.3. ავსტრალიის დროშა

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#);
[III გვერდზე](#).

ნახ.4. კლიმატური სარტყლებისა და ბუნებრივი ზონების რუკა



ნახ.5. კლიმატური რუკა კიოპენის მიხედვით



გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).

- (1) **37.1.** რას აღნიშნავს ავსტრალიის კავშირის დროშის მარჯვენა ნაწილში გამოსახული ხუთი ვარსკვლავი?
ა) სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედს;
ბ) მეხუთე კონტინენტი;
გ) შტატების რაოდენობას;
დ) ერთა თანამეგობრობის წევრობას.
- (1) **37.2.** ჩამოთვლილთაგან რომელია ავსტრალიის ყველაზე არიდული შტატი?
ა) ვიქტორია; ბ) ახალი სამხრეთ უელსი; გ) დასავლეთ ავსტრალია; დ) ტასმანია.
- (1) **37.3.** ჩამოთვლილთაგან რომელი ბუნებრივი ზონის ლანდშაფტის ფოტოა ნახ.2.-ზე?
ა) შერეული ტყის; ბ) ტროპიკული ტყის; გ) სავანის; დ) სტეპის.
- (2) **37.4.** დაასახელეთ პიროვნების გვარი და მისი წარმომავლობის ქვეყანა, ვისი სახელიც დავალებაში აღწერილ ტბას ეწოდა?
- (1) **37.5.** მოცემული ინფორმაციის მიხედვით დაასაბუთეთ, რატომ არის გაუდინარი კატი-თანდას ტბა?
- (1) **37.6.** ავსტრალიის რომელ ბუნებრივ ზონაში მდებარეობს კატი-თანდას ტბა?
- (1) **37.7.** რა მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ ტბის სანაპირო განსხვავებულად გამოიყურება სხვადასხვა წლებსა და სეზონებზე?

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#); [II გვერდზე](#); [III გვერდზე](#).